ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1118822

ნომერი: AR1194600

თარიღი : 04.02.2014

გაცემის თარიღი : 11.02.2014

გაცნობის თარიღი : 11.02.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა დელისის , N 2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- აკაკი გრძელიშვილი პ/ნ 01013008703
- თბილისი ვარკეთილის მას. IV მ/რ II რიგი კორ. 2 ბ. 3

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს. "ნიუ ჰაუსი" კოდი: 404914287;

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 11.11.2013წ. #991461 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 02.04.2014წ., #AR1194600 განცხადებით მომართეს მოქალაქეებმა აკაკი გრძელიშვილმა და ანდრო დოლიძემ და მოითხოვეს ამავე სამსახურის 11.11.2013წ., #991461 ბრძანებაში ცვლილების შეტანა, კერძოდ, აღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტში დამკვეთად შპს „MODERN GEORGIAN HOUSE"–ის ნაცვლად შპს „ნიუ ჰაუსის“ დაფიქსირება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 11.11.2013წ., #991461 ბრძანებით, ქ. თბილისში, სექტორი - საბურთალო, დელისის ქუჩა, #2–ში, შპს „MODERN GEORGIAN HOUSE”-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი 01.10.15.007.039), შეთანხმდა სტუდენტური საცხოვრებელი კომპლექსის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2013 წლის 11 ნოემბრიდან 2016 წლის 11 იანვრის ჩათვლით, ხოლო დამკვეთად დაფიქსირდა შპს „MODERN GEORGIAN HOUSE”.
განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი 30.01.2014წ. „გადახდის განვადების უფლებით უძრავი ნივთის ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულების (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი #140078564) თანახმად, შპს „ნიუ ჰაუსს“ საკუთრებაში გადაეცა უძრავი ქონება მდებარე ქ. თბილისში, დელისის ქუჩა, #2 (საკ. კოდი 01.10.15.007.039), ხოლო წარმოდგენილი 18.12.2013წ. ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, შპს „ნიუ ჰაუსს“ გადაეცა მიწის ნაკვეთზე (სარეგისტრაციო ზონა – თბილისი, კოდი – 01, სექტორი საბურთალო, კოდი – 10, კვარტალი – 15, ნაკვეთი – 007/039, ნაკვეტის ტიპი – თანასაკუთრება, ნაკვეთის ფუნქცია – არასასოფლო–სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი 903 კვ.მ.)
ასაშენებელი მრავალსართულიანი საცხოვრებელი ბინის მშენებლობასთან დაკავშირებული სამშენებლო დოკუმენტაცია, კერძოდ, მშენებლობის სანებართვო მოწმობა (გაცემული სამსახურის #991461 ბრძანებით), სტუდენტური საცხოვრებელი კომპლექსის არქიტექტურული პროექტი (დამტკიცებული სამსახურის #991461 ბრძანებით), მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი (დამტკიცებული სამსახურის #991461 ბრძანებით).
„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან განსათავსებელი შენობა-ნაგებობის მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.
ვინაიდან, სამსახურში წარმოდგენილი ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად (მომზადების თარიღი 31/01/2014 10:40:47), შპს „ნიუ ჰაუსი“ წარმოადგენს უძრავი ქონების მესაკუთრეს და სამსახურში წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ შპს „ნიუ ჰაუსს“ ასევე გადაეცა მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი #01.10.15.007.039) ასაშენებელი სტუდენტური საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობასთან დაკავშირებული სამშენებლო დოკუმენტაცია, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია განმცხადებლების მოთხოვნის დაკმაყოფილება.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 11.11.2013წ., #991461 ბრძანებაში, კერძოდ, დამკვეთად შპს „MODERN GEORGIAN HOUSE”–ის ნაცვლად დაფიქსირდეს შპს „ნიუ ჰაუსი“.

2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 11.11.2013წ., #991461 ბრძანებასთან ერთად.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარატავას ქ. #7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;